



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოთქმა

მოთქმა, ქართული სამგლოვიარო რიტუალის შემადგენელი ნაწილი, ზეპირსიტყვაობის იმპროვიზაციული სახეობა. ასრულებს მოტირალი (იგივე ხმით მოტირალი, გლოვის მგოსანი, გოდების შემსხმელი, მომთქმელი) მიცვალებულის ღირსებისა და ადამიანური თვისების წარმოსაჩენად. მ-ით ტირილი განსაკუთრებით აღმ. საქართვე. მთამ (ფშავ-ხევსურეთი) შემოინახა. ხევსურეთში, „ცრემლობის დღეს“ (ტირილის დღე) მიცვალებულს ფარდაგზე დაასვენებდნენ და ახალი ტალავრით, ქამარ-ხანჯლითა და თოფით მორთავდნენ, გვერდით კი არაყსა და სამ კვერს დაუწყობდნენ, შემდეგ შეკაზმულ „სულის ცხენს“ მოიყვანდნენ, რ-საც არყიან და ქაღებთან ხურჯინს გადაჰკიდებდნენ. ცხენის აღვირი მიცვალებულს მარცხ. ხელზე ჰქონდა გამობმული. ხალხ. რწმენით, საიქიოში მიმავალი ვაჟკაცი სულებს ცხენით ეგებება. მზის ჩასვლისას მოტირალი ქალები ცხედარს მიუსხდებოდნენ, ერთ-ერთი მათგანი გარდაცვლილის ხანჯალს დაეყრდნობოდა და მიცვალებულს მ-ით დაიტირებდა. მ-ით ტირილი საქალებო (სადიაცო) საქმე იყო. მოტირალთათვის აცხობდნენ „სახმითმატირლო“ კვერებს. ხალხ. წარმოდგენით, მომთქმელს მიცვალებულის სული ირჩევდა.

ლიტ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ხევსურეთი, თბ., 1984; ქართული ხალხური პოეზია, ტ. 5, თბ., 1976; ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე თ., ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009.

თ. დოლიძე
